სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/31

ქ. თბილისი 14 ივნისი 2019

სტუ-ის ფართობების იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 8 მაისის №540587 და 2019 წლის 7 ივნისის №717971 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 14 ივნისის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს:
   - კანონით დადგენილი წესით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, 5 წლის ვადით, იჯარით გასცეს 251 და 256 კვ.მ. ფართობები (მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობასთან ერთად);
   - კანონით დადგენილი წესით, იჯარით გასცეს მე-7 სასწავლო კორპუსის თავზე არსებული 171 კვ.მ. ფართობი 5 წლის ვადით, სარეკლამო საქმიანობის მიზნით.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**